

# სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

## XCRMS სისტემა

### საიდენტიფიკაციო სერვისები

#### სერვისის ზოგადი აღწერა


XCRMS სისტემის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს ფიზიკურ პირთა საიდენტიფიკაციო სერვისები, სადაც ვებ სერვისის საშუალებით, რეალურ დროში, შესაძლებელია სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მონაცემთა ბაზაში დაცული ფიზიკური პირის მონაცემების, სტატუსებისა და მასზე გაცემული დოკუმენტების შესახებ ინფორმაციის მიღება კითხვა-პასუხის რეჟიმში.

დოკუმენტში მოცემულია ვებსერვისის მუშაობის პრინციპები, სერვისით ინფორმაციის მიღებისათვის ორგანიზაციასთან (დაინტერესებული მხარე) დგება შეთანხმება ან/და ფორმდება ხელშეკრულება, სადაც მოცემულია სერვისის მეთოდების შესახებ დეტალური ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული სერვისის მეთოდით სააგენტოსთვის ინფორმაციის გაგზავნისა და სააგენტოდან ინფორმაციის მიღების წესს.

ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ორგანიზაციაში არსებული თითოეული მიზნისათვის (ამოცანა რომელის შესრულებისათვის ორგანიზაციას ესაჭიროება სააგენტოს სერვისი) განისაზღვრება სერვისით ინფორმაციის მიწოდების შესაბამისი მეთოდები, რომელსაც ენიჭება უნიკალური იდენტიფიკატორი (**SubcontractId**). ხელშეკრულებაში აღწერილი თითოეული მეთოდი წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნის ობიექტის (**Request**) პარამეტრებისა და პასუხით დასაბრუნებელი ობიექტის (**Response**) სტრუქტურის დეტალურ აღწერას.

სერვისით ორგანიზაციისთვის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება დახურული კერძო ქსელით (VPN), სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურის მეშვეობით. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურით სარგებლობის ინსტრუქცია წარმოდგენილია ცალკე დოკუმენტის სახით.

ინფორმაციის მოძრაობის სქემა



სერვისით ორგანიზაციის მომართვის აუთენტიფიკაციის, მიზნით სააგენტოში შეკითხვის გამოგზავნის დროს, ორგანიზაციის მიერ ხორციელდება მოთხოვნის ობიექტზე ხელმოწერა, სააგენტოს მიერ გაცემული ელ. სრთიფიკატის საშუალებით, ხოლო სააგენტოდან ინფორმაციის მიწოდების დროს სააგენტოს მიერ პასუხის ობიექტზე ხელმოწერა ხორციელდება სააგენტოს მიერ გაცემული ელ. სერტიფიკატით. შეკითხვისა და პასუხის ობიექტებში ხელმოწერის ქვეობიექტი განისაზღვრება ხელშეკრულებით.

მხარეთა შორის (ორგანიზაცია, სააგენტო) ინფორმაციის გაცვლის დროს ხორციელდება პერსონალური მონაცემების შემცველი ქვეობიექტების შიფრაცია, დასაშიფრი ქვეობიექტები განისაზღვრება ხელშეკრულებით.

## სერვისით ინფორმაციის გამოთხოვა

სერვისით ინფორმაციის მოთხოვნის წესი განსაზღვრულია ხელშეკრულებაში კონკრეტული სერვისი მეთოდის აღწერილობით, რომელსაც მინიჭებული აქვს უნიკალური კოდი **SubcontractId**. სერვისი მეთოდს უნიკალური კოდის მინიჭებას ახდენს სააგენტო (რომელიც აისახულია ხელშეკრულებაში).

ორგანიზაციიდან მოთხოვნის მიღების დროს სერვისის მეთოდის **SubcontractId**-ის მნიშვნელობით ხორციელდება სერვისის მეთოდის იდენტიფიცირება, შეკითხვის პარამეტრების ვალიდაცია და მეთოდის შესაბამისად აღწერილი სტრუქტურის მიხედვით პასუხის ობიექტების სერიალიზაცია.

### შეკითხვის ობიექტის XML სტრუქტურა

```
<Request>
  <SubcontractId>string</SubcontractId>
  ... <!--შესაძლებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული იყოს დამატებითი რეკვიზიტები-->
  <Parameters>
    <[ParameterObject1]> <!--მოთხოვნის ქვეობიექტის დასახელება-->
      <[Param1]>param1_value</[Param1]> <!--მოთხოვნის ქვეობიექტის პარამეტრები და მნიშვნელობები-->
      <[Param2]>param2_value</[Param2]>
      ...
      <[ParamN]>paramN_value</[ParamN]>
    </[ParameterObject1]>
    <[ParameterObject2]>
      <[Param1]>param1_value</[Param1]>
      <[Param2]>param2_value</[Param2]>
      ...
      <[ParamN]>paramN_value</[ParamN]>
    </[ParameterObject2]>
    ...
    <[ParameterObjectN]>
      <[Param1]>param1_value</[Param1]>
      <[Param2]>param2_value</[Param2]>
      ...
      <[ParamN]>paramN_value</[ParamN]>
    </[ParameterObjectN]>
  </Parameters>
</Request>
```

[ParameterObject1]...[ParameterObjectN] წარმოადგენს მეთოდით აღწერილ და შეთანხმებულ პარამეტრად გადმოსაცემ შეკითხვის ქვეობიექტებს, შესაბამისი რეკვიზიტებითა [Param1]...[ParamN] და მნიშვნელობებით (param1\_value...paramN\_value). შეკითხვის ობიექტის თითოეული პარამეტრის ფორმატი და მნიშვნელობა განისაზღვრება ხელშეკრულებით და აღწერილია სერვისის კონკრეტულ მეთოდში.

### ხელმოწერა შეკითხვის ობიექტში

ხელშეკრულებაში სერვისის მეთოდის აღწერილობით განისაზღვრება მოთხოვნის XML ობიექტის ის node-ი რომელზეც აუცილებელია სააგენტოს მიერ გაცემული ელ. სერთიფიკატით ციფრული ხელმოწერის განხორციელება. node-ი შეიძლება იყოს შეკითხვის <Request> ობიექტი მთლიანად, <Parameters> ან ერთ-ერთი <ParameterObject> შეკითხვის ქვეობიექტი. სერვისის მეთოდის აღწერილობით განსაზღვრულ node-ს აუცილებელია ჰქონდეს Id ატრიბუტი (უნიკალური იდენტიფიკატორი), რომლის მნიშვნელობაც აუცილებელია უნიკალური იყოს ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ შეკითხვებთან მიმართებაში (მაგალითად Guid, რომელსაც დააგენერირებს ორგანიზაცია შეკითხვის გამოგზავნის მიზნით). მაგალითად, <Request> node-ის შემტხვევაში მას უნდა ჰქონდეს შემდეგი სახე: <Request Id="{Guid}">

### შიფრაცია შეკითხვის ობიექტში

ხელშეკრულებაში სერვისის მეთოდის აღწერილობით განისაზღვრება მოთხოვნის XML ობიექტის სავალდებულოდ დასაშიფრი node-ი, რომელიც შეიძლება იყოს შეკითხვის <Request> ობიექტი მთლიანად, <Parameters> ან ერთ-ერთი <ParameterObject> შეკითხვის ქვეობიექტი. მაგალითად, <Parameters> node-ს შიფრაციის შემდეგ ექნება შემდეგი სახე: <Parameters>[პარამეტრის ობიექტები დაშიფრული სახით]</Parameters>

## სერვისით ინფორმაციის მიღება

ისევე როგორც მოთხოვნის ობიექტის სტრუქტურა, პასუხის ობიექტის სტრუქტურაც (ქვეობიექტები, პარამეტრები, მნიშვნელობები) განსაზღვრულია ხელშეკრულებით, სერვისის მეთოდის აღწერილობით.

### პასუხის ობიექტის XML სტრუქტურა

```
<Response Id="value" ReferenceId="value" TimeStamp="value ">
  <ResultStatus>
    <Code>Code_value </Code>
    <Message>Message_Value</Message>
  </ResultStatus>
  <[ResponseObject]> <!--პასუხის ობიექტის დასახელება-->
    <[Field1]>field1_value</[Field1]> <!--რეკვიზიტები და მნიშვნელობები-->
    <[Field2]>field2_value</[Field2]>
    ...
    <[FieldN]>fieldN_value</[FieldN]>
    <[SubObjectN]> <!--ქვეობიექტის დასახელება-->
      <[Field1]>field1_value</[Field1]>
      <[Field2]>field2_value</[Field2]>
      ...
      <[FieldN]>fieldN_value</[FieldN]>
    </[SubObject1]>
    ....
    <[SubObjectN]> <!--მეორე ქვეობიექტის დასახელება-->
      <[Field1]>field1_value</[Field1]>
      <[Field2]>field2_value</[Field2]>
      ...
      <[FieldN]>fieldN_value</[FieldN]>
    </[SubObjectN]>
  </[ResponseObject]>
</Response>
```

#### <Response> nodes-ში

- **Id** ატრიბუტი არის პასუხის უნიკალურ იდენტიფიკატორი, რომელსაც ანიჭებს სააგენტო ანიჭებს პასუხის ობიექტის გენერირების დროს.
- **TimeStamp** ატრიბუტი არის პასუხის დაბრუნების დრო, რომელსაც ანიჭებს სააგენტო ანიჭებს პასუხის ობიექტის გენერირების დროს.
- **ReferenceId** ატრიბუტი არის შუკითხვის უნიკალური იდენტიფიკატორი, რომელსაც ანიჭებს ორგანიზაცია შუკითხვის გამოგზავნის დროს და რომელზეც ხდება პასუხის დაბრუნება.

<ResultStatus> **node** წარმოადგენს პასუხის სტატუსის ობიექტს, რომლის შესაძლო მნიშვნელობები მოცემულია N1 დანართში.

#### ხელმოწერა პასუხის ობიექტში


ხელშეკრულებაში სერვისის მეთოდის აღწერილობით განისაზღვრება პასუხის XML ობიექტის ის node-ი რომელზეც განხორციელდება სააგენტოს მიერ გაცემული, სააგენტოს ელ. სერტიფიკატით, ციფრული ხელმოწერა. node-ი შეიძლება იყოს შუკითხვის <Response> ობიექტი მთლიანად ან <ResponseObject> პასუხის ქვეობიექტი.

სტანდარტულად პასუხის XML ობიექტში ხელმოწერილი იქნება იქნება <Response> node.

#### შიფრაცია პასუხის ობიექტში

ხელშეკრულებაში სერვისის მეთოდის აღწერილობით განისაზღვრება პასუხის XML ობიექტის სავალდებულოდ დასაშიფრი node-ი. ხელშეკრულებაში სერვისის მეთოდის აღწერილობით განისაზღვრება პასუხის XML ობიექტის სავალდებულოდ დასაშიფრი node-ი, რომელიც შეიძლება იყოს პასუხის <Response> ობიექტი მთლიანად ან <[ResponseObject]> პასუხის ქვეობიექტი. მაგალითისათვის თუ შიფრაცია განხორციელდება პასუხის <[ResponseObject]> node-ზე მაშინ ობიექტს ენქნება შემდეგი სახე: <[ResponseObject] >[დაშიფრული მონაცემები]</[ResponseObject]>.

ინფორმაციის დამუშავების სქემა



ხელშეკრულებაში აღწერილი სერვისის მეთოდების შესაბამისად სქემაში მოცემული პროცესები შესაძლებელია იყოს გადაადგილებული ან გამოტოვებული.

სააგენტო ორგანიზაციას გადასცემს C# პროექტს (ClientSamples), რომელშიც მოცემულია ინფორმაციის დამუშავებისათვის საჭირო ქმედებათა ნიმუშები:

1. შიფრაციისათვის ორგანიზაციის ღია და დახურული გასაღების გენერაცია
2. სააგენტოსა და ორგანიზაციის ღია გასაღების გაცვლის სერვისის მეთოდის გამოყენება
  - 2.1. მოთხოვნის xml ობიექტის გენერაცია
  - 2.2. მოთხოვნის ობიექტზე სააგენტოს მიერ გაცემული ელ. სერთიფიკატით ხელმოწერა
  - 2.3. მოთხოვნის გაგზავნა
  - 2.4. სააგენტოს ღია გასაღების მიღება
3. შიფრაციისა და დეშიფრაციისათვის სიმეტრიული გასაღების გენერაცია სააგენტოდან მიღებული ღია გასაღებისა და ორგანიზაციის დახურული გასაღებით.
4. ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის გამოთხოვის მეთოდის გამოყენება
  - 4.1. მოთხოვნის xml ობიექტის გენერაცია;
  - 4.2. მოთხოვნის xml ობიექტში შესაბამისი node-ის შიფრაცია;
  - 4.3. მოთხოვნის xml ობიექტის შესაბამისი node-ზე სააგენტოს მიერ გაცემული ელ. სერთიფიკატით ხელმოწერა;
  - 4.4. მოთხოვნის გაგზავნა სააგენტოში;
  - 4.5. მიღებული პასუხის xml ობიექტში შესაბამისი node-ზე განხორციელებული ხელმოწერის ვალიდაცია;
  - 4.6. მიღებული პასუხის xml ობიექტში დაშიფრული node-ის დეშიფრაცია

# შიფრაცია და შიფრაციის ღია გასაღების გაცვლის სერვისის მეთოდი


## შიფრაცია

ხელშეკრულებაში ფიზიკური პირის მონაცემების მოწოდების სერვისის შესაბამისი მეთოდის აღწერილობით განისაზღვრება შეკითხვისა და პასუხის XML ობიექტებში დასაშიფრი ქვეობიექტები.

შიფრაციისა და დეშიფრაციისათვის გამოიყენება სიმეტრიული გასაღები, რომელიც გენერირდება ორგანიზაციისა და სააგენტოს დახურული და ღია შიფრაციის გასაღების საშუალებით.

ორგანიზაციის ღია, დახურული და სიმეტრიული გასაღების გენერაციის ნიმუშები მოცემულია სააგენტოს მიერ მომზადებს ClientSamples პროექტში.

## სიმეტრიული გასაღების გენერირების სქემა



## შიფრაციის გასაღების განახლების პერიოდი

ხელშეკრულებით განისაზღვრება გასაღების განახლების პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ორგანიზაცია ვალდებულია ერთხელ მაინც გამოცვალოს გასაღები, რადგან ვადის გასვლის შემდეგ ძველი გასაღებით დაშიფრულ მოთხოვნაზე პასუხის სახით დაუბრუნდება შესაბამისი შეცდომა.

ხელშეკრულებით განისაზღვრება გასაღების განახლების პერიოდის ამოწურვამდე ორგანიზაციამ XML ობიექტების შიფრაცია და დეშიფრაცია უნდა განახორციელოს პერიოდის დასაწყისში დაგენერირებული სიმეტრიული გასაღების გამოყენებით.

## შიფრაციის ღია გასაღების გაცვლის მეთოდი

შიფრაციის ღია გასაღების გაცვლის მეთოდის საშუალებით სააგენტოში იგზავნება ორგანიზაციის მიერ გენერირებული შიფრაციის ღია გასაღები, ხოლო სააგენტოდან პასუხის სახით ბრუნდება სააგენტოს მიერ გენერირებულ ღია გასაღებს.

შიფრაციის ღია გასაღების გაცვლის მეთოდის გამოყენების ნიმუში მოცემულია სააგენტოს მიერ მომზადებს ClientSamples პროექტში.

## მოთხოვნის ობიექტის XML სტრუქტურა

```
<Request>
  <SubcontractId>String</SubcontractId>
  <Parameters>
    <ECKeYValue Id="value" xmlns="http://www.w3.org/2009/xmldsig11#">
      <NamedCurve URI="urn:oid:1.3.36.3.3.2.8.1.1.7" />
      <PublicKey>BCEijCR3tDi8ORZQ6dyxVMMEGIDcEK...</PublicKey>
      <Signature>
        ...
      </Signature>
    </ECKeYValue>
  </Parameters>
</Request>
```

მოთხოვნის XML ობიექტზე ხელმოწერა უნდა განხორციელდეს **ECKeYValue** node-ზე

## პარამეტრების აღწერილობა

<b>SubcontractId</b>	სერვისის მეთოდის უნიკალური იდენტიფიკატორი
<b>ECKeYValue Id="value"</b>	ორგანიზაციის მიერ მინიჭებული უნიკალური იდენტიფიკატორი ( <b>Guid</b> )
<b>NamedCurve</b>	წინასწარ შეთანხმებული ელიფსური წირი კრიპტოგრაფიისთვის (მუდმივი)
<b>PublicKey</b>	ორგანიზაციის მიერ გენერირებული ღია გასაღები
<b>Signature</b>	ორგანიზაციის მიერ ელ. სერთიფიკატით განხორციელებული ხელმოწერა

## პასუხის ობიექტის XML სტრუქტურა

```

<Response Id="value" ReferenceId="value" TimeStamp="value "
  <ResultStatus>
    <Code>14</Code>
    <Message>OK</Message>
  </ResultStatus>
  <ECKeYValue Id="value" xmlns="http://www.w3.org/2009/xmldsig11#">
    <NamedCurve URI="urn:oid:1.3.36.3.3.2.8.1.1.7" />
    <PublicKey>BG6MEE8zmT0AWVqhabjKLKpnTTnts...</PublicKey>
    <Signature>
      ...
    </Signature>
  </ECKeYValue>
</Response>

```

## პარამეტრების აღწერილობა

<b>Response Id</b> ="value"	პასუხის უნიკალური იდენტიფიკატორი
<b>Response TimeStamp</b> ="value"	პასუხის დაბრუნების დრო
<b>Response ReferenceId</b> ="value"	მოთხოვნის უნიკალური იდენტიფიკატორი ("{Guid}")
<b>ECKeYValue Id</b> ="value"	გასაღების წყვილის უნიკალური იდენტიფიკატორი
<b>ResultStatus</b>	პასუხის სტატუსის პარამეტრების მნიშვნელობა მოცემული N1 დანართში
<b>NamedCurve</b>	წინასწარ შეთანხმებული ელიფსური წირი კრიპტოგრაფიისთვის (მუდმივი)
<b>PublicKey</b>	სააგენტოს მიერ გენერირებული ღია გასაღები
<b>Signature</b>	სააგენტოს მიერ ელ. სერთიფიკატით განხორციელებული ხელმოწერა

## მეთოდის ნიმუში

---

### ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოთხოვის მეთოდი

#### ინფორმაციის გამოთხოვის სპეციფიკაციები

- მოთხოვნის რეკვიზიტები - პირადი ნომერი და დაბადების წელი
- მეთოდის უნიკალური იდენტიფიკატორი (SubcontractId) - **ORG12015**
- ხელმოსაწერი node - **Request**
- დასაშიფრი node – **Parameters**
- დამატებითი ინფორმაციის მითითება - ყოველ მოთხოვნა უნდა მიეთითოს ინფორმაციის გამოთხოვის მიზეზი (RequestReason)

#### მოთხოვნის ობიექტის XML შაბლონი

```
<Request Id="" xmlns="http://www.w3.org/2009/xmldsig11#">
  <SubcontractId>Text</SubcontractId>
  <RequestReason>Text</RequestReason>
  <Parameters>
    <Person>
      <PrivateNumber>Text(0000000000)</PrivateNumber>
      <BirthYear>Number(yyyy)</BirthYear>
    </Person>
  </Parameters>
</Request>
```

#### ინფორმაციის მიწოდების სპეციფიკაციები

- პასუხის რეკვიზიტები - პირადი ნომერი, გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, სქესი, პირის სტატუსის იდენტიფიკატორი, პირის სტატუსი
- ხელმოსაწერი node - **Response**
- დასაშიფრი node – **Person**

#### პასუხის ობიექტის XML შაბლონი

```
<Response Id="" TimeStamp=" " ReferenceId="" >
  <ResultStatus>
    <Code>{StatusCode:Number}</Code>
    <Message>{StatusMessage:Text}</Message>
  </ResultStatus>
  <Person>
    <PrivateNumber>Text</PrivateNumber>
    <FirstName>Text</FirstName>
    <LastName>Text</LastName>
    <BirthDate>Date</BirthDate>
    <GenderName>Text</GenderName>
    <PersonStatusID>Number</ PersonStatusID >
    <PersonStatus>Text</ PersonStatus >
  </Person>
</Response>
```

## მოთხოვნა-პასუხის XML ობიექტები ინფორმაციის გამოგზავნიდან პასუხის მიღებამდე

### მოთხოვნის XML ობიექტი

```
<Request Id="1935f555-5d92-4a37-91d6-7d1cf769fa18" xmlns="http://www.w3.org/2009/xmlsig11#">  
  <SubcontractId>ORG12015</SubcontractId>  
  <RequestReason>განაცხადის განხილვა</RequestReason>  
  <Parameters>  
    <Person>  
      <PrivateNumber>00000000007</PrivateNumber>  
      <BirthYear>1924</BirthYear>  
    </Person>  
  </Parameters>  
</Request>
```

### მოთხოვნის XML ობიექტი ხელმოწერისა და შიფრაციის შემდეგ

```
<Request Id="1935f555-5d92-4a37-91d6-7d1cf769fa18" xmlns="http://www.w3.org/2009/xmlsig11#">  
  <SubcontractId>ORG12015</SubcontractId>  
  <RequestReason>განაცხადის განხილვა</RequestReason>  
  <Parameters> [Encrypted Data] </Parameters>  
  <Signature xmlns="http://www.w3.org/2000/09/xmlsig#">  
    „ხელმოწერა ორგანიზაციის სერთიფიკატით“  
  </Signature>  
</Request>
```

### პასუხის XML ობიექტი დაშიფრული რეკვიზიტებით

```
<Response Id="187136" TimeStamp="2015-06-02 19:04:45 PM" ReferencId="1935f555-5d92-4a37-91d6-7d1cf769fa18"  
  xmlns="http://www.w3.org/2009/xmlsig11#">  
  <ResultStatus>  
    <Code>14</Code>  
    <Message>OK</Message>  
  </ResultStatus>  
  <Person> [Encrypted Data] </Person>  
  <Signature xmlns="http://www.w3.org/2000/09/xmlsig#">  
    „ხელმოწერა სააგენტოს სერთიფიკატით“  
  </Signature>  
</Response>
```

### პასუხის XML ობიექტი დეშიფრაციის შემდეგ

```
<Response Id="187136" TimeStamp="2015-06-02 19:04:45 PM" ReferencId="1935f555-5d92-4a37-91d6-7d1cf769fa18"  
  xmlns="http://www.w3.org/2009/xmlsig11#">  
  <ResultStatus>  
    <Code>14</Code>  
    <Message>OK</Message>  
  </ResultStatus>  
  <Person>  
    <PrivateNumber>00000000007</PrivateNumber>  
    <FirstName>სახელი</FirstName>  
    <LastName>გვარი</LastName>  
    <BirthDate >1924-03-17</ BirthDate >  
    <GenderName>M</GenderName>  
    <PersonStatusID>1</ PersonStatusID >  
    <PersonStatus>აქტიური</ PersonStatus >  
  </Person>  
  <Signature xmlns="http://www.w3.org/2000/09/xmlsig#">  
    „ხელმოწერა სააგენტოს სერთიფიკატით“  
  </Signature>  
</Response>
```



## დანართი N1 - სტატუსების მნიშვნელობა

ResultStatus პარამეტრის მნიშვნელობები

Code	Message
3408	Unknown
14	OK
15	მოთხოვნა_ცარიელია
16	კონტრაქტის_ინფორმაცია_არ_არის_მოწოდებული
17	კონტრაქტის_ნომერი_არასწორია
18	პარამეტრები_არ_არის_მოწოდებული
19	მოთხოვნის_აუცილებელი_პარამეტრი_არ_არის_მოწოდებული
20	მოთხოვნის_ფორმატი_არასწორია
21	პარამეტრის_მნიშვნელობა_არ_არის_მოწოდებული
22	პარამეტრის_ფორმატი_არასწორია
23	მოთხოვნის_პარამეტრები_არ_ემთხვევა_კონტრაქტით_გათვალისწინებულ_სქემას
24	კონტრაქტი_არ_არის_აქტიური
25	ქვეკონტრაქტი_არ_არის_აქტიური
26	მონაცემზე_წვდომა_შეზღუდულია
27	მითითებული_პარამეტრებით_მოიძებნა_ერთზე_მეტი_ჩანაწერი
28	მითითებული_პარამეტრებით_მოიძებნა_მეტი_ჩანაწერი
29	გადმოცემული_მნიშვნელობა_არ_შედის_დასაშვები_მნიშვნელობების_სიაში
30	მრავალმნიშვნელობიანი_პარამეტრი_არ_არის_დაშვებული
31	გადმოცემული_პარამეტრებით_არ_მოიძებნა_არცერთი_ჩანაწერი
32	დავალეზაზე_მოქმედება_არ_არის_განსაზღვრული
33	დავალეზის_ფორმირებისას_მოწოდებული_იქნა_არაკორექტული_მოქმედება
34	დავალეზის_ფორმირებისას_მოხდა_შეცდომა
35	მოწოდებულ_კონტრაქტზე_დავალეზის_ფორმირების_უფლება_შეზღუდულია
36	ხელმოწერილი_ობიექტი_ვერ_მოიძებნა
37	სავალდებულო_ხელმოწერა_ვერ_მოიძებნა
38	ხელმოწერა_არ_არის_ვალიდური
39	კონტრაქტში_არ_არის_განსაზღვრული_მომსახურების_მიმღები_მხარე
40	გაცვლილი_გასაღები_არ_არის_ვალიდური
41	შიფრაციის_გასაღებები_არ_არის_გაცვლილი
42	ხელმოწერის_სერთიფიკატი_არ_ემთხვევა_გასაღებების_გაცვლის_კონტრაქტით_მოწოდებულს
43	ხელმოწერის_სერთიფიკატი_არ_ემთხვევა_კონტრაქტის_სერთიფიკატს
44	კონტრაქტის_სერთიფიკატი_არავალიდურია
45	კონტრაქტის_სერთიფიკატი_გაუქმებულია
46	კონტრაქტზე_ინფორმაციის_მიმღები_ორგანიზაცია_არ_არის_განსაზღვრული
47	მოთხოვნის_მისამართს_არ_აქვს_კონტრაქტზე_დაშვება
48	მოთხოვნის_დეშიფრაციის_შეცდომა
49	გასაღები_უკვე_გამოყენებულია
50	ხელმოწერილი_ობიექტს_არ_აქვს_უნიკალური_იდენტიფიკატორი
51	ხელმოწერილი_ობიექტის_უნიკალური_იდენტიფიკატორი_ცარიელია
52	უნიკალური_იდენტიფიკატორის_ფორმატი_არასწორია
53	განრიგით_განსაზღვრულ_პერიოდში_ქვეკონტრაქტის_გამოძახებების_ლიმიტი_ამოწურულია
54	ქვეკონტრაქტის_გამოძახება_შესაძლებელია_მხოლოდ_განრიგით_განსაზღვრულ_დროის_შუალედში
55	ქვეკონტრაქტის_გამოძახება_შესაძლებელია_მხოლოდ_განრიგით_განსაზღვრულ_კვირის_დღეებში
56	ქვეკონტრაქტის_გამოძახება_შესაძლებელია_მხოლოდ_განრიგით_განსაზღვრულ_რიცხვებში
57	ქვეკონტრაქტის_გამოძახება_შესაძლებელია_მხოლოდ_განრიგით_განსაზღვრულ_თარიღებში